პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2022 წლის __ მაისი
ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფელ ბანოჯაში მდებარე ლადიმერ ბედენაშვილის კერძო საკუთრებაში არსებულ არასასოფლი-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი 29.09.39.542 ფართით-2098,0 კვ.მ.) ახალი კერძო სასაფლაოს გახსნის (მოწყობის) შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 19 მაისის N48-482213911 წერილი, მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის განყოფილების 2022 წლის 24 მარტის დასკვნა, მოქალაქე ლადიმერ ბედენაშვილის (პ.ნ. 60003009207) განცხადება, რომელიც ეხება **წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფელ ბანოჯაში მდებარე ლადიმერ ბედენაშვილის კერძო საკუთრებაში არსებულ არასასოფლი-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი 29.09.39.542 ფართით-2098,0 კვ.მ.) ახალი კერძო სასაფლაოს გახსნას (მოწყობას).**

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე–2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა–პატრონობის წესის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 28 მარტის N11 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე–13 მუხლის თანახმად:

1. მიღებული იქნეს გადაწყვეტილება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფელ ბანოჯაში მდებარე ლადიმერ ბედენაშვილის კერძო საკუთრებაში არსებულ

არასასოფლი-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი 29.09.39.542 ფართით-2098,0 კვ.მ.) ახალი კერძო სასაფლაოს გახსნის(მოწყობის) შესახებ.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა

მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი — მ. ბერაძე

შეთანხმებულია
აპარატის უფროსი — გ. თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე — რ. დიდავა